

პრეზიდენტის კონსტიტუციურ- სამართლებრივი სტატუსის არსი პოსტ- სოციალისტურ ქვეყნებში

ზურაბ ჯიბლაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საქართველოს ეროვნული უშიშროების
საბჭოს აპარატის იურიდიული დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე*

პრეზიდენტის კონსტიტუციურ- სამართლებრივი სტატუსის სტრუქტურა

პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ფართო ინსტიტუტი შემადგენელი კომპონენტებით ხასიათდება. დავიდ ზლატოპოლსკი ასეთებად განიხილავს პრეზიდენტის პრეროგატივას – კომპეტენციას, არჩევის წესსა და ასევე პასუხისმგებლობას საქმიანობაზე.¹ არსებითად, სწორედაც ამ საკითხების გადაწყვეტა განსაზღვრავს პრეზიდენტის ინსტიტუციონალური დემოკრატიზმის ხარისხსა და მის სამართლებრივ-პოლიტიკურ ბუნებას. პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნებში ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემები და შესაბამისი საპრეზიდენტო ინსტიტუტები არაერთგვაროვანია. ამიტომ არც პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი

1 ზლატოპოლსკი დ.ლ.; Институт президента в Восточной Европе: порядок выборов и ответственность. 1994. вестник московского государственная университета. Сер. Право. №5. Москва стр. 14.

არ არის თეორიული კვლევის სწორხაზოვანი ობიექტი. ამ სივრცის ქვეყნებში პრეზიდენტის სხვადასხვა ინსტიტუციონალური ფორმების აღმოცენებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ის მოტივები, რითიც სხვადასხვა ძალა ამტკიცებდა მისი დაფუძნების აუცილებლობას, მაგრამ ეს პროცესი მნიშვნელოვანწილად საერთო სამართლებრივ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის და რიგ შემთხვევებში არსებითად მსგავსი ტენდენციების ფონზე მიმდინარეობდა. ამიტომაც ამ ეპოქაში დაფუძნებულ პრეზიდენტის ინსტიტუტებს შორის, რიგ შემთხვევაში არსებობს მათი არსებითი მოდელური მსგავსება, მაგ: ბელორუსი და რ.ფ.; პოლონეთი, ხორვატია და რუმინეთი; ალბანეთი, ესტონეთი, ლატვია და სლოვენია; სლოვაკეთი და ჩეხეთი. პოსტსოციალისტური ევროპის ქვეყნების პრეზიდენტების კონსტიტუციურ – სამართლებრივი სტატუსი მათი შემადგენელი ელემენტების სახით შეიცავს საერთო მახასიათებლებს, რომელთაგანაც იწარმოება პრეზიდენტის (მათ შორის დიამეტრულად განსხვავებული მოდელების) სტატუსი, როგორც მთლიანი ორგანიზმი. პრეზიდენტის ყოველი ნაციონალური მოდელის სტატუსის შემადგენელ ელემენტებს შეიცავს შესაბამისი კონსტიტუცია. მისი ტექსტის მოცულობისა და რედაქციისაგან დამოუკიდებლად, ყოველი საპრეზიდენტო ინსტიტუტის სტატუსს ახასიათებს განუყოფელი და განუსხვისებელი ელემენტები, რომელთა კლასიფიკაცია, გვაროვნული მახასიათებლების მიხედვით, ხდება სამ ჯგუფად:

1. ინსტიტუციონალური;
2. პროცედურული;
3. ფუნქციონალური.

ინსტიტუციონალური ელემენტი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, სტატუსის ფორმალურ-კონსტიტუციური განმსაზღვრელია. ის ადგენს სახელმწიფოს მეთაურის აღქმის მოცულობას ყოველი კონკრეტული ქვეყნის შემთხვევაში. მიუხედავად ამ ელემენტის ნორმატიული გადმოცემის ფორმისა, ის არსებითად მოიცავს სახელმწიფოს მეთაურის

ტრადიციულ სამკომპონენტო ფუნქციონალურ წარმოსახვას:

- ა) წარმომადგენლობითობა;
- ბ) არბიტრაჟი;
- გ) შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა.

პროცედურული ელემენტის ჯგუფი მისი მანდატის რეალიზაციის (უფლებამოსილების დაწყების, განხორციელების, შეწყვეტისა და უფლებამონაცვლეობის) წესებს მოიცავს. ესენია:

- ა) არჩევითობა და არჩევნების წესი;
- ბ) უფლებამოსილების ვადა და მისი დაწყება;
- გ) იმუნიტეტი;
- დ) თანამდებობრივი შეუთავსებლობა;
- ე) უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა და პასუხისმგებლობის წესი;
- ვ) უფლებამონაცვლეობა.

ფუნქციონალური ელემენტის ჯგუფი ყველაზე ტევადი ელემენტია, რომლის რეალიზაციისას სრულად ვლინდება ამ ინსტიტუტის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ბუნება. იგი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ა) ურთიერთობა საკანონმდებლო ხელისუფლებასთან;
- ბ) ურთიერთობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან;
- გ) უფლებამოსილებანი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში;
- დ) უფლებამოსილებანი სასამართლო ორგანოებთან მიმართებით;
- ე) უფლებამოსილებანი ტერიტორიულ და ადგილობრივ ორგანოებთან მიმართებით;
- ვ) თავდაცვა-უშიშროების სფეროსა და საგანგებო უფლებამოსილებანი;
- ზ) სამართალშემოქმედებითი საქმიანობა.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონსტიტუციური განხორციელების სისტემაში პრეზიდენტის როლის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს
კონსტიტუციის
პრეზიდენტის
როლის
ზოგადი
მიმოხილვა

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონსტიტუციური განხორციელების სისტემაში პრეზიდენტის როლის განსაზღვრაზე ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუცია ხშირად პირდაპირ მითითებას შეიცავს.* პრეზიდენტის როლის განმსაზღვრელი ნორმების ნორმატიულ-ლექსიკური დატვირთულობა და ამ ნორმით პრეზიდენტის ძალაუფლების ქვეშ მოქცეულ საკითხთა წრის განსაზღვრა სისტემაში პრეზიდენტისათვის განკუთვნილი როლის ხედვის პროპორციულია. ზოგ შემთხვევაში კი პრეზიდენტის უფლებამოსილება ანალიზით, დოქტრინალური დასკვნებით განისაზღვრება მისი როლი. პრეზიდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ნორმების კონსტრუქცია არაერთფეროვანია და იკვეთება კონსტიტუციების ოთხი ჯგუფი, რომლებიც:

1. პრეზიდენტს მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურად აცხადებენ (ესტონეთი და ჩეხეთი);
2. სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადების კვალდაკვალ ავრცობენ მის შინაარსს საკუთარი ფუნქციონალური წარმოსახვის მიხედვით და უთითებენ იმ შემადგენლებს, რომლებსაც მოიზარებენ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსის ინსტიტუციონალური ელემენტის ძირითად კომპონენტებად (ალბანეთი, ბელორუსი, ბულგარეთი, ლიტვა, რ.ფ., უნგრეთი, საქართველო და სლოვაკეთი);

3. სხვადასხვა მოცულობით, მაგრამ მაინც მხოლოდ მისი შემადგენლების მიხედვით ახასიათებენ პრეზიდენტის სტატუსის ინსტიტუციონალურ ელემენტებს (მაკედონია, პოლონეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ხორვატია*), მაგრამ თავს არიდებს მის სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადებას და სწორედ ესაა ის შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურად დოქტრინალური მსჯელობით განისაზღვრება, როდესაც კონსტიტუციები უბრალოდ აღარ ახდენენ ამა თუ იმ ელემენტის მომცველობით დახასიათებული სტატუსის სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადების ფორმალიზაციას.
4. ერთადერთი კონსერვატორული „სიტყვაძუნწობით“ გამორჩეულია ლატვიის კონსტიტუცია, რომელიც თავს არიდებს პრეზიდენტის სტატუსის რაიმე ფორმით განსაზღვრებას. ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტის კონკრეტული უფლებამოსილებების კონცეფციური ანალიზის შედეგად მისი სახელმწიფოს მეთაურად განსაზღვრება მთლიანად სისტემური ინტერპრეტაციის შედეგია.

მიუხედავად ინდივიდუალური განვრცობებისა, ყველა პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსის ინსტიტუციონალური ჯგუფი სახეზე გვაძლევს სახელმწიფოს მეთაურის სულ მცირე სამკომპონენტო წარმოსახვას: წარმომადგენლობითობა,* არბიტრაჟი და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა. სახელმწიფოს მეთაურის სტატუსის ინსტიტუციონალური ელემენტის ეს სტანდარტული შემადგენელი კომპონენტები, ზოგიერთ შემთხვევაში, პრეზიდენტის, რო-

* ეს ტენდენცია მეხუთე ტალღის – პოსტ-სოციალისტურ კონსტიტუციებში განვითარდა. განვითარების ეტაპების მიხედვით კონსტიტუციების დაჯგუფებისას ვყვრდნობით ავთანდილ დემეტრაშვილის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას (იხ: ა. დემეტრაშვილი. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. 1992. გვ. 4-8) და გამოყოფილი ოთხი ჯგუფის შემდეგ მეხუთე ტალღად მივიჩნევთ პოსტსოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციებს.

* ბოლო ორ შემთხვევაში არსებითად განსხვავდება ამ შემადგენელი განსაზღვრებების როგორც არეალი, ასევე შესაბამისობა მისი შემდგომი ნორმატიული განვითარების შესაძლებლობასთან.

* არის შემთხვევები, როდესაც კონსტიტუციები პრეზიდენტის სახელმწიფოს მეთაურად განსაზღვრებისას (ალბანეთი, ბულგარეთი, ლიტვა და მოლდოვა) ან მის გარეშე (მაკედონია, სერბეთი და სლოვენია), მითითებას აკეთებენ მის მხოლოდ წარმომადგენლობითობაზე ან

გორც სახელმწიფოს მეთაურის, არეალის აღქმის განვრცობის კვალდაკვალ ღრმავდება და სხვადასხვა შემთხვევაში უკვე მოიცავს პრეზიდენტის კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, აგრეთვე ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის გარანტიად გამოცხადებას: საქართველოში – ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტობა (ნ9-ე მუხლის, მე-2 პუნქტი); პოლონეთში – ტერიტორიის ხელშეუხებლობისა და განუყოფლობის სადარაჯოზე დგომა და კონსტიტუციის დაცვისთვის თვალყურის დევნება (126-ე მუხლის მე-2 პუნქტი); რ.ფ.-ში – კონსტიტუციით დადგენილი წესით ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ზომების მიღება, კონსტიტუციისა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტობა (მე-80 მუხლის მე-2 პუნქტი); ბელორუსში – კონსტიტუციის, მოქალაქისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციის გარანტობა და პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა (79-ე მუხლი); ხორვატიაში – ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა (93-ე მუხლი); რუმინეთში – ეროვნული დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტობა (მე-80 მუხლის (1) პუნქტი); უკრაინაში – სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტობა (102-ე მუხლი).

მასთან ერთად შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობაზე ამ ნორმათა ზედაპირული გაგება, თითქოს ავიწროებს პრეზიდენტის სახელმწიფოს მეთაურად განსაზღვრებას, მაგრამ კონკრეტულ უფლებამოსილებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ პოსტსოციალისტურ კონსტიტუციონალიზმში უარყოფილია პრეზიდენტის მხოლოდ წარმომადგენლობით მდგომარეობაზე დაყვანის ადრეული მიდგომა და ის ფლობს თუნდაც ნეგატიურ საარბიტრაჟო უფლებამოსილებებს. ნეგატიურ საარბიტრაჟო უფლებამოსილებებში ვგულისხმობთ მხოლოდ შემაკავებელ (მაგ: თუნდაც მხოლოდ პარლამენტის დათხოვნისა და ვეტოს უფლებები) უფლებამოსილებებს, როდესაც პრეზიდენტი აღჭურვილია მხოლოდ შემაკავებელი უფლებით და თავად არ ფლობს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების ან ქმედების განხორციელების ინიციატივის უფლებას.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონსტიტუციურ განხორციელებაში პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, სტატუსის განმსაზღვრელი დებულებები კონსტიტუციის შესაბამისი თავის პირველსავე მუხლებში ისახება. მათი შინაარსი ხშირ შემთხვევაში იმ პრობლემების ანარეკლია, რომელთა წინაშე იდგნენ კონსტიტუციის მიმღები თაობები. სახელმწიფოს მეთაურის, როგორც ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირის, ფუნქციონალური ადგილიც სწორედ ამ პრობლემებთან მიმართებით განისაზღვრება. ამ ფსიქოლოგიური ბმის არსებობა გასაგებია და ისიც ცხადია, რომ აღნიშნული ნორმები სწორედაც რეაქციაა ამ პრობლემატიკაზე, მაგრამ ეს არ იძლევა სრული თავისუფლების საფუძველს. პრეზიდენტის სტატუსის ამ განმავრცობელი დათქმების განზრახულობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მისი ინტერვენციაა, რაც შემდგომ ზოგჯერ მკაფიო ნორმატიულ ასახვა-განვითარებას პოულობს კონსტიტუციაში – გზას უხსნის უკონტროლო საპრეზიდენტო ძლევამოსილებას. მისი დომინანტური მდგომარეობა ვლინდება საკანონმდებლო ორგანოსთან უფლებრივ მიმართებაშიც და პრეზიდენტი წარმოიჩინდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ვერტიკალად (ბელორუსი და რ.ფ.). ზოგიერთ შემთხვევაში კი ეს ხდება აღმასრულებელ ხელისუფლებაში დუალიზმის წყარო (მაგ: პოლონეთი, რუმინეთი, უკრაინა და ხორვატია). ამ გზით ვიღებთ შემთხვევებს, როდესაც ხელისუფლების დანაწილების განხორციელებაში პრეზიდენტის ავტორიტეტის ხაზგასმის სურვილი იწვევს ამ ნორმების მხოლოდ გარეგნულ-ატრიბუტულ „ხიბლიანობას“, მაგრამ ნორმატიული ლექსიკური გადატვირთულობის გამო არა მათს შემდგომ რეალიზაციას.* ამისი ნიმუშია რ.ფ.-ის კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტი. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით

* ამ ნორმის „გადატვირთვა“ ყოველთვის „ძლიერი“ და „წარმოსადეგი“ საპრეზიდენტო ინსტიტუტის დაფუძნების გამოვლინებაა.

დადგენილი წესით იღებს ზომებს რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის დასაცავად...“ სწორედ ამ „ამაღლებულ“ საპრეზიდენტო აქცენტებთან დაკავშირებით აღნიშნავს მარატ ბაგლაი, რომ „ეს არის კონსტიტუციური დამატება, კონკრეტული უფლებამოსილებების თანხლების გარეშე“² – ამგვარი „აღმატებითი“ ნორმის კვალდაკვალ, კონსტიტუციის შემდგომი ნორმების სახით, არ არის მისი ამოქმედების მექანიზმები.

პრეზიდენტის სტატუსის ელემენტები კი ზუსტი ასახვით, თანმიმდევრულად უნდა განვითარდეს კონსტიტუციის შესაბამის დებულებებში. ინსტიტუციონალური ელემენტის რეალიზაციის ფორმები ფუნქციონალური ჯგუფის ელემენტში (კომპეტენციაში) უნდა დაკონკრეტდეს. თუ პრეზიდენტის სტატუსის ამგვარი „ამაღლებული“ ინსტიტუციონალური ელემენტები სრულფასოვან ასახვას არ პოვებენ პრეზიდენტის კომპეტენციაში, მაშინ წახალისდება პრეზიდენტის „ნაგულისხმევი“ და „ფარული“ უფლებამოსილებების გამოყენების ცდუნება, რაც პოლონეთსა და რ.ფ.-ში სულაც არ გამოვლენილა სახარბიელო შედეგებით. „სამწუხაროდ, „საზეიმო“ კონსტიტუციური ეპითეტების გამო სახელმწიფოს მეთაურები ზოგჯერ აკეთებენ შორს მიმავალ დასკვნებს ზოგიერთ განსაკუთრებულ ფუნქციაზე, რომლებიც გულისხმობენ პრეზიდენტის „ფარულ“ უფლებამოსილებებს და ისინი თითქოს გამომდინარეობენ მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, სამართლებრივი სტატუსის საერთო დახასიათებიდან.“³ სწორედ ამიტომ დაეყრდნო რ.ფ.-ის საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტს, რომელიც პრეზიდენტს აცხადებს კონსტიტუციისა და უფლებათა დაცვის გარანტიად და კონსტიტუციურად ცნო ფედერალური კრებისათვის კანონების განუხილველად დაბრუნების, საკანონმდებლო ხასიათის ბრძანებულებების გამოცემისა და ფედერალური

კრების თანხმობის გარეშე ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების განხორციელების ფაქტები.⁴

რაც შეეხება პოლონეთის რესპუბლიკის შემთხვევას, კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი პრეზიდენტს კონსტიტუციის დაცვისათვის თვალყურის დევნებას, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების, აგრეთვე მისი ტერიტორიის ურღვევობისა და განუყოფლობის სადარაჯოზე დგომას აკისრებდა. მოგვიანებით მცირე კონსტიტუციით მოდიფიცირებული იქნა ეს მიდგომა და დადგინდა, რომ პრეზიდენტი საგარეო ურთიერთობებში, ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოების სფეროში ახორციელებდა „ზოგად ხელმძღვანელობას“. თუმც ვერც ეს იყო ცალსახა განსაზღვრება – „გაურკვეველი რჩებოდა, მითითებული უფლებამოსილებები რამდენად იყო დაკავშირებული კონსტიტუციის სხვა დებულებებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან, თუ ისინი ატარებდნენ დამოუკიდებელ (ინდივიდუალურ) ხასიათს.“⁵ ამ სადავო მდგომარეობას მალე აუღო ალლო პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ და საკითხებში, რომელთა „ზოგად ხელმძღვანელობას და კოორდინაციას“ ახორციელებდა პრეზიდენტი, მიაღწია თითქმის სრულ კონტროლს.⁶

საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წლის 15 ოქტომბრის არსებითი ცვლილების შემდეგ ზოგიერთი განსაზღვრება პრობლემური დარჩა მმართველობის სისტემის ახალ კონცეფციასთან მიმართებით. კერძოდ, 69-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს პრეზიდენტს აცხადებს ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტიად. პრეზიდენტის როლის განმსაზღვრელი ნორმის გადატვირთვა იმ ჩანაწერებით, რომელთა რეალიზაცია არ ხორციელდება პრეზიდენტის სხვა კონკრეტული უფლებამოსილებებით, წარმოშობს კონფლიქტის რისკს პრეზიდენტ-მთავრობასა და

2 Казимирчук В.П. 1998. Конституция и закон: стабильность и динамизм. Издательство Юрид. Книга, Москва Стр. 25.
3 Конституционное законодательство России; под общей редакцией Тихомирова Ю. А., 1999. Издательство Формула права, Москва стр.130.

4 დაწერილობითი: Авакян С.А.; Президент российской федерации: эволюция конституционно-правового статуса. 1998. вестник московского государственная университета. Сер. Право. №1. Москва стр. 30.
5 Гарлицкий Л.Л.; Институт президентства в новой Конституции Польши. 1997. Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение; №3(20)/ №4 (21). стр.68.
6 ლეშეკ ლეხ გალიცკი. და. ნაშ. გვ. 70.

პარტიკულარული

პრეზიდენტ-პარლამენტს შორის. ეს აჩენს პრეზიდენტის ცდუნების ალბათობას შესაბამისი უფლებების ძიების კონფლიქტური პროცესისადმი. ამ განსაზღვრული მდგომარეობების – „გარანტობა“ შემცველი კონსტიტუციური ნორმა, სწორედ ამ დეფინიციის შემდგომი ნორმატიული განვითარების შეუძლებლობიდან გამომდინარე, არ არის დამოუკიდებელი უფლებამოსილების ბუნების მატარებელი ან კონსტიტუციით განუსაზღვრელი სხვა კონკრეტული უფლების წარმომშობი. ცალკე აღებული მხოლოდ ასეთი დებულებები სხვა კონკრეტული მასაზრდოებელი უფლებების გარეშე, სიცოცხლისუუნარონი არიან. მაგრამ პოლონეთისა და რ.ფ.-ის აღნიშნული მაგალითების გათვალისწინებით, ვერ გამოვრიცხავთ ამ ნორმების, „ნაგულისხმევი“ უფლებამოსილებების სახით პოლიტიკურ ინტერპრეტაციას. ამიტომაც ვშიშობთ, სწორედ ესაა ის ნორმა, რომლისაც პრეზიდენტი პრაგმატული საჭიროებისას, ზუსტად პოლიტიკური ინტერპრეტაციით, „ნაგულისხმევი“ უფლებამოსილების სახით, შეიძლება ერთგვარად „ჩაეჭიდოს“.

კონსტიტუციის 69-ე მუხლი პრეზიდენტს აცხადებს სახელმწიფოს მეთაურად და ამ სტატუსის სტანდარტულ ინსტიტუციონალურ კომპონენტებს (არბიტრაჟი, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა

და საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლობა) უმატებს ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტობასაც,* მაგრამ სახელმწიფოს მეთაური ობიექტურად არსად ფლობს აღნიშნული მიზნის აუცილებელ შედეგად დადგომის შესაძლებლობებსა და მექანიზმებს; ეს არარეალიზებადია შესაბამისი უფლებებით მისი კვების შეუძლებლობის გამო. გარანტად ყოფნა მოიცავს განსაზღვრული მიზნის უცილობელ შედეგად დადგომის ვალდებულებას. ეს კი მმართველობის განხორციელებას ითხოვს. სწორედაც კონკრეტული უფლებრივი საზრდოობის შეუძლებლობიდან გამომდინარე, არ შეიძლება არამმართველი პრეზიდენტისათვის იმგვარი საკითხების შედეგობრივი გარანტირების პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც უშუალოდ მმართველობას მოითხოვს. განსაზღვრების – „გარანტი“ და ზოგ შემთხვევაში „უზრუნველყოფი“ – კონკრეტული უფლებებით კვება გონივრულად იმდენად შეუძლებელია, რომარცერთი დიდი კონსტიტუცია არ შესჭიდებია ამგვარ ამბიციას! ისინი ასეთ აბსტრაქციებს თავს არიდებენ – იციან, კონსტიტუციონალიზმს ეს არ ხელეწიფება და არ არის მისი ფუნქცია. კონსტიტუციონალიზმს პოლიტიკური პროცესების პრაგმატული „დირიჟორის“ როლი უფრო აკისრია, ვიდრე კლასიკოსი მწერალივით მკითხველთან რითმებით ფერებისა; მისი ამბიცია ყოველ პოლიტიკურ მოცემულობაზე შესატყვისი სამართლებრივი რეაქციის საშუალებებისა და მექანიზმების დამკვიდრებაა და არა ვინმეს „გაიდებალბა“.* „აღმატებით“ შეფასებებში მათდამი მიმბაძველობის ასახვით, საქართველოს კონსტიტუცია არც ესტეტიკურად დამშვენდა და არც ქმედითი არბიტრის ან მმართველი პრეზიდენტის შემოქმედი გამხდარა. მან უფრო მმართველობის განზრახულ წესთან სისტემურად სუსტად თავსებადი საპრეზიდენტო ინსტიტუტის შექმნას დაუდო სათავე. დასაკონკრეტებლად

* პრეზიდენტისადმი ასეთი მაამებლური და აღმატებითი მიდგომით – პრეზიდენტის „გარანტად“ და „უზრუნველყოფად“ დახასიათებით, კონსტიტუციონალიზმის განვითარების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ პროვინციული (ავტორიტატული ან პოსტ-ტოტალიტარული) სახელმწიფოები (ბელორუსი, პორტუგალია, რუმინეთი, რ.ფ., დაა.შ.) ხასიათებიან. სახელმწიფოს მეთაურის მოძველებულ ორწევროვან (უმაღლესი მთავარსარდლობა და საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლობა) ან თანამედროვე სამწევროვან (არბიტრაჟის ფუნქციით დამატებულ) ვარიანტებს მისდევს სამართლებრივ სახელმწიფოდ უფრო მზარდი ქვეყნების უდიდესი ნაწილი (მიუხედავად იმისა, ამ ქვეყნების კონსტიტუციები შეიცავენ სახელმწიფოს მეთაურის განსაზღვრულ კონსოლიდირებულ ნორმებს თუ მისი ფუნქციებიდან გამომდინარე უნდა გაკეთდეს დოქტრინალური დასკვნა): ავსტრია, ბულგარეთი, გ.ფ.რ., იაპონია, ისრაელი, იტალია, ლიტვა, ესპანეთი, სერბეთი და ა.შ., მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი უკანასკნელი საკმაო ენაწყლიანობით აღწერს სახელმწიფოს მეთაურის სტატუსს.

* „ხიზლიან“ კონსტიტუციურ ჩანაწერებს თავისთავად რომ არ მოუტანია შედეგად საზოგადოების მოლოდინები, ამას სოციალუსტური (არა ერთი პოსტსოციალისტურიც) კონსტიტუციებისა და შესაბამისი საზოგადოებრივი რეალობის ურთიერთმიმართებაც ცხადყოფს.

შეუძლებელი „გარანტობის“ აბსტრაქციას მხოლოდ პოლიტიკური სისტემის რისკკვემ დაყენება ძალუძს; ამ ტვირთს ვერ მოერევა პრეზიდენტი; შესაბამისად, ვერც ეს ნორმა გახდება პირდაპირი მოქმედების და მივიღებთ შემთხვევას – რეალური სასურველთან შეუსაბამოა.

კონსტიტუციური ნორმა არ შეიძლება შემდგომ განსავითარებლად შეუძლებელ ნორმატიულ განსაზღვრებას შეიცავდეს. ეს მაინც მასზე დაყრდნობისა და უფლებათა ფართო ინტერპრეტაციის რისკს ქმნის. ამიტომ, პრეზიდენტის ინსტიტუტის ბუსტი ფუნქციონირების ნორმატიული ხელშეწყობისთვის ამგვარი ნორმების თანმიმდევრულობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მათ ბუნდოვანებები კი არ უნდა დაადგინონ, არამედ, პრეზიდენტის კონკრეტული უფლებამოსილებების გამოყენების შემთხვევების მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევადობის მოტივით, მაქსიმალურ სიცხადეს უნდა შეეცადონ; ამ მიდგომით ისევ პრეზიდენტის ინსტიტუტი აღიჭურვება ავტორიტეტის ძალით. ამიტომ პრეზიდენტის სტატუსის თითოეული ელემენტის შემდგომი ნორმატიული განვითარება პრეზიდენტის სტატუსის განსაზღვრელი ნორმიდან უნდა იყოს ნაწარმოები – მისი ერთიან ორგანიზმად შეკვრას უნდა ემსახუროს. კონსტიტუციით დამკვიდრებულ მმართველობის სისტემაში პრეზიდენტის ერთიანი სამართლებრივი სტატუსის თანმიმდევრული განვითარება მოითხოვს თითოეული ელემენტის, სტატუსის განსაზღვრულ კონცეფციასთან შესატყვისად დადგენას. მხოლოდ პრეზიდენტის სტატუსის სისტემურად თანმიმდევრული განვითარებით შეიძლება მიიღწეს პრეზიდენტის მყარი ინსტიტუციონალური ავტორიტეტი.

„პრეზიდენტის მოღვაწეობის ამგვარი ვალდებულებები და ოფიციალურად დადგენილი სტანდარტები მიმართულია სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე მისი მსოფლიო მასშტაბის ავტორიტეტის და ღირსების გაძლიერებისაკენ.“⁷ მართლაც, ინსტიტუციონალური ჯგუფი მოიცვავს სტატუსის

იმ შემადგენლებს, რომლებიც მისი როლის განმსაზღვრელი ფუნდამენტური ნორმიდან მოიხანს არა პირდაპირ და კონკრეტულ უფლებამოსილებად, არამედ ამ ინსტიტუტის ძალაუფლების მახასიათებელ გარეგნულ ატრიბუტად. მეორე მხრივ, პრეზიდენტის სტატუსის განსაზღვრების განმავრცობელი ყოველი შემადგენლის კრებსითად თავის-მომყრელი ნორმა პრეზიდენტის კომპეტენციის წყარო უნდა იყოს და კონსტიტუციის შემდგომ ნორმებში განვითარდეს კონკრეტული უფლებამოსილებების სახით. ამიტომ ასეთი ნორმები ვერ იქნება კონკრეტულ უფლებამოსილებათაგან დამოუკიდებელი. საპირისპირო შემთხვევებს ვხვდებით სუსტი კონსტიტუციონალიზმის შემთხვევებში – რ.ფ., ბელორუსი, პოლონეთი, რუმინეთი, შუა აზიის რესპუბლიკები. ამ კრებსითი ნორმის პრეზიდენტის უფლებრივი მდგომარეობისაგან განყენებით განხილვის სურვილმა კი შესაბამის ქვეყნებში პრეზიდენტის უფლებრივი მდგომარეობის აბსტრაქცია განაპირობა. პრეზიდენტები ტრადიციულად ამ მდგომარეობაში ბალანსის სათავისოდ გადახრას ცდილობენ. პრეზიდენტის სტატუსის განმსაზღვრელი აღმატებითი კატეგორიებით გამორჩეული კონსტიტუციების ეს დებულებები ვერ გამოდგება ინსტიტუტების ჰარმონიული თანამშრომლობისათვის და ვერც „გარანტობა“ და სხვა აღმატებითი განსაზღვრებები იქნება მისი სტატუსის დამოუკიდებელი კომპონენტი.

ასეთი ნორმა, ცალკე აღებული, პრეზიდენტის კომპეტენციაში სათანადო დებულებებით გამყარების – მისი განხორციელების ლეგიტიმური პროცედურული საფუძვლების გარეშე, ვერ იქნება სრულფასოვანი იურიდიული ძალის მქონე. პრეზიდენტის გარკვეული სამართლებრივი მდგომარეობის ქმედითობა შესაბამისი მექანიზმებით – კონკრეტული უფლებამოსილებებით საზრდოობას საჭიროებს. პრაქტიკაში, ხშირად ამ ნორმის შემდგომი დაუკონკრეტებლობიდან გამომდინარე, პრეზიდენტის „ნაგულისხმევი“ და „ფარული“ უფლებამოსილებებით ამართლებენ მისი მოქმედებების პარლამენტთან შეუთანხმებლობის სურვილს. რ.ფ.-ის კონსტიტუციის მე-80 მუხლში მითითებული

7 Сахаров Н.А., 1994. Институт президентства в современном мире. Издательство Юридическая литература, Москва Стр. 13.

პრეზიდენტის ძირითადი ამოცანებისათვის კონკრეტული კონსტიტუციური უფლება- მოსილებებით უზრუნველყოფის არარსებობა ჩანს რამდენიმე ფუნქციის რეგლამენტაციაში,⁸ რაც თვალნათლივ გამოვლინდა პრაქტიკაში მათი რეალიზაციისას. ამიტომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელებაში პრეზიდენტის როლის განმსაზღვრელი კონსტიტუციური ნორმის შემდგომ ზუსტ განვითარებას. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, რ.ფ.-ის კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტით, სახელმწიფო სისტემაში პრეზიდენტის უმაღლესი მდგომარეობის განსაზღვრა არ ნიშნავს მისი როლის მონარქიზაციას. თუმცა ამავდროულად აღნიშნავენ, რომ „ამა თუ იმ შესაძლო საფრთხის წინაშე რუსეთის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ამოცანის გლობალურობა და ამ საფრთხის ხასიათის არაპროგნოზირებადობა განაპირობებს პრეზიდენტის მიერ ამგვარი საფრთხეების ლიკვიდაციისა და კონსტიტუციის სრული მოცულობით მოქმედების უზრუნველსაყოფად გამოსაყენებელი საშუალებებისა და მეთოდების რამენაირი მკაცრი რეგულირებების შეუძლებლობას, მათ იურიდიულ კონკრეტიზაციას.“⁹ ალტერნატიული მოსაზრებით, ეს ნორმა ხშირად ფართოდ განიხილება და ეძლევა მოქნილი ინტერპრეტაცია. რ.ფ.-ის პრეზიდენტის გამოცხადება კონსტიტუციის გარანტად დამაზუსტებელი ნორმების გარეშე და, შესაბამისად, ამ დებულების კიდევ უფრო განვრცობილი ინტერპრეტაცია, პრაქტიკულად გამორიცხავს პრეზიდენტის ძალაუფლების ბოჭვას- რეგლამენტირებას და საპრეზიდენტო აბსოლუტიზმის ერთგვარი წყაროა.¹⁰

პრეზიდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ნორმის რედაქციული ერთმნიშვნელოვნება არსებითია შემდგომი განმარტებებისა და ორაზროვანი ინტერპრეტაციებიდან მომდინარე „ნაგულისხმევი“ უფლება-

მოსილებების გამორიცხვით, სხვა კონსტიტუციურ ინსტიტუტებთან მისი კომპეტენციური დავის თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფო ობიექტურად არ საჭიროებს ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტობის ირეალური ტვირთის მზიდავ საპრეზიდენტო ინსტიტუტს (ინსტიტუციონალური ბუნებიდან გამომდინარე). პრეზიდენტის სტატუსის ამგვარი „აღმატებით“ განსაზღვრებები საბოლოოდ შეიცავს ორმაგ რისკს:

პირველი – კომპეტენციური კოლიზიის საფრთხე პარლამენტთან და აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ ორგანოს – მთავრობასთან;

მეორე – ამ ფუნქციების შესრულების შეუძლებლობა, რომელიც ისევ პრეზიდენტის ინსტიტუციონალურ ავტორიტეტზე იმოქმედებს არაპოზიტიურად.

აღნიშნული არაერთგვაროვანი დეფინიციები მძაფრი კონფლიქტების წყაროდ იქცა პოლონეთისათვის, მიუხედავად 126-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ერთგვარი „ჩამკეტი“ ნორმისა – „პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი თავის მოვალეობებს ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონებით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად და მათ ფარგლებში“. ამ დებულებამ ვერ უპასუხა თავის განზრახულობას – ცალსახად განსაზღვრულიყო პრეზიდენტის უფლებამოსილებები და „ნაგულისხმევი“ უფლებამოსილებების სუბიექტური ინტერპრეტაციების წყაროები დაეშრო.

69-ე მუხლის პირველი პუნქტის ფართო ინტერპრეტაციის „ჩამკეტი“ ნორმას შეიცავს საქართველოს კონსტიტუციაც. პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განმსაზღვრელი 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“. მისი განზრახულობა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა მხოლოდ კონსტიტუციით განისაზღვრა, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ ეს ხსნის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის არაერთაზროვნებას. ეს „ჩამკეტი“ ნორმა, მაგალითად, ქვეყნის ერთიანობის გარანტობას, სწორედ მისი დაცვისათვის საჭირო (ადგილობრივი თვითმმართველობის

8 დას. ნაშ. ტიხომიროვა ი. ა. რედაქციით. გვ. 131-132 და 138.

9 Научно-практический комментарий к Конституции Российской Федерации., 1998. Под ред. Топорина Б. Н. Издательство Юрист, Москва Стр. 471.

10 დაწვრილებით იხ: დას. ნაშ. ი. ტიხომიროვა რედაქციით. გვ. 137.

ორგანოების დათხოვნის, ომისა და ზავის საკითხების გადაწყვეტის, საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების) უფლებამოსილებებში არ კეტავს. ეს კი ქვეყნის ერთიანობის გარანტიის ცალკე უფლებამოსილებად განხილვის და მისგან წარმოშობილი „ნაგულისხმევი“ უფლებამოსილებების მოგონების რისკს ქმნის. თუმც ვფიქრობთ, რომ ის საამისო სხვა უფლებამოსილებებს არ წარმოშობს. ქვეყნის ერთიანობისათვის საჭირო ღონისძიებების (მაგრამ არავითარ შემთხვევაში გარანტიის) განსაზღვრა, სხვადასხვა კონკრეტული უფლებამოსილებით ხდება. ამიტომ, გარანტობა ცალკე უფლებამოსილება ან ასეთის წყარო ვერ იქნება. ამ მსჯელობას იმავე ლოგიკაზე ვაფუძნებთ, რომელმა ლოგიკამაც ამავე პუნქტით დადგენილი სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირების უზრუნველყოფა ჩაკეტა „კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში“. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფართო ინტერპრეტაციაზე მოთხოვნას საქართველოში დღემდე ადგილი არ ჰქონია.

მმართველობის სისტემის გავლენა პრეზიდენტის როლზე ხელისუფლების დანაწილების სისტემაში

პრეზიდენტის სტატუსის სწორი რეგლამენტირებისათვის, მისი „სიძლიერე“- „სისუსტისაგან“ განყენებულად, ზუსტად მისი ფუნქციონალური წარმოდგენა უნდა იყოს ამოსავალი პრინციპი, საიდანაც მომდინარეობს მისი ურთიერთობის ფორმები ხელისუფლების განშტოებებთან და განისაზღვრება მისი უფლებამოსილებების არეალი; ზედმიწევნითი სიზუსტით უნდა განისაზღვროს პრეზიდენტის ინსტიტუტის ტიპური რაობა, ვინ უნდა იყოს: წარმომადგენელი, არბიტრი, წარმომადგენელ-არბიტრი თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელი. მხოლოდ ამ შემთხვევაშია

შესაძლებელი მმართველობის სისტემის რაციონალური და გაწონასწორებული სისტემის შექმნა. მისი უფლებრივი მიმართება ხელისუფლების განშტოებებთან, მმართველობის სისტემის უმთავრესი მახასიათებელია. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობებში პრეზიდენტის როლი იმდენად არსებითია, რომ „სწორედ პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობის თავისებურებები განსაზღვრავს რეალურად სახელმწიფოს მმართველობის ფორმას.“¹¹ ასევე, „არსებითად მან უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა სისტემაში გაწონასწორებული და დაბალანსებული ხელისუფლება“.¹² მმართველობის სისტემებს ერთმანეთისაგან არსებითად განასხვავებს, ერთი მხრივ, გფრ-ის, სლოვენისა და იტალიის, ხოლო, მეორე მხრივ, ბელორუსის, რფ-ის, ტაჯიკეთისა და სხვა დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო (სუპერსაპრეზიდენტო) რესპუბლიკების პრეზიდენტების უფლებამოსილებები. ეს უფლებრივი განსხვავებები ამ უკანასკნელთ იმდენად „ძლიერ“ პრეზიდენტებად წარმოაჩენს, რომ ვიღებთ საპრეზიდენტო ძლევამოსილების სისტემებს, რომლებშიც სამართალი კარგავს თავის სახესა და ფუნქციას, პოლიტიკურ ძალმომრეობას ემსახურება და „უბრალოდ მორჩილებაა, დიქტატურა არ არის აღიარებული, მაგრამ ქვეყანაში გაბატონებული შიშნარევი რიდი და თვითნებობა დემოკრატიის მახასიათებლად არ გამოდგება.“¹³

კონსტიტუციურ ორგანოთა სისტემაში პრეზიდენტის როლის სხვადასხვაობა ყოველი ქვეყნის კონსტიტუციით განისაზღვრება. მმართველობის სისტემისაგან დამოუკიდებლად, პრეზიდენტი ფორმალურად ფართო უფლებებს ფლობს, თუმც ყოველი მათგანი არ არის პრეზიდენტის

11 კვერენჩილაძე გ., 2012. ქართული კონსტიტუციონალიზმის ნოვაციები: პრეზიდენტისა და მთავრობის კონსტიტუციური კონსტრუქცია და მიმართების თავისებურებები 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ჭრილში. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა. #5. გვ. 186.
 12 იზორია ლ., 2010. საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუნახევრადსაპრეზიდენტო? გზადემოკრატიული კონსოლიდაციისკენ. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 38.
 13 მელქაძე ო. 2001. ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები. თბილისი. გამომცემლობა პოლიგრაფ-სერვისი, თბილისი გვ. 16.

დისკრეცია. პრეზიდენტის დამოუკიდებლად განსახორციელებელ უფლებამოსილებათა არეალი მთლიანად მმართველობის სიტემით განისაზღვრება. პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსის სრულფასოვანი განსაზღვრისა და შემდგომი კვლევისათვის სწორედ ეს უკანასკნელია გადამწყვეტი. მმართველობის ამა თუ იმ სისტემას სწორედ ხელისუფლების დანაწილების განხორციელების ინდივიდუალური ფორმები აყალიბებს. შესაბამისად, პრეზიდენტის სამართლებრივი მდგომარეობა ხელისუფლების დანაწილების სისტემაში ამ პრინციპის კონკრეტული განხორციელების თავისებურებებით განისაზღვრება; პრეზიდენტის როლი კი აყალიბებს ხელისუფლების განშტოებებთან მის ურთიერთობებს. მიღებული მმართველობის სისტემა განსაზღვრავს პრეზიდენტის აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვის ხარისხსაც. სწორედ პრეზიდენტის აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვა ხდის ნათელს პრეზიდენტის ფაქტობრივ პოლიტიკურ, და არა ფორმალურ-იურიდიულ, უფლებრივ მდგომარეობასა და მისგან ნაწარმოებ გავლენიანობას სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემაში. ეს მმართველობის სისტემების მრავალფეროვნებით, დინამიკაში დამკვიდრებული წესია – თუ აშშ-ის პრეზიდენტს კონსტიტუციით მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება განეკუთვნება, მისი ფაქტობრივი მობილური მდგომარეობა სისტემის ურყევობით სცილდება ვიწრო ფორმალურ-იურიდიულად დადგენილს და გავლენით სახელმწიფოს მეთაურის სტატუსშიც გარდაისახება. ეს ფაქტობრივი სამართლებრივ-პოლიტიკური მოცემულობა სახელმწიფოს მეთაურის რიგი ფუნქციების (პიროვნების სტატუსი რეგულირების, სახელმწიფოს წარმომადგენლობის, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობისა და სხვა) ერთგვაროვნად აღმასრულებელი ბუნების პრეზიდენტის კომპეტენციაში თავმოყრამ განაპირობა. ესტონეთის, გერმანიის, ლატვიის, იტალიის, უნგრეთის და სხვა „უხელისუფლებო“ პრეზიდენტები მხოლოდ ქვეყნის ერთიანობას განასახიერებენ და გამოდიან არბიტრის (ზოგჯერ პასიურისაც) როლში. ფორმალური თვალსაზრისით, ეს პრეზიდენტები სახელმწიფოს

მეთაურის სტატუსს ატარებენ, მაგრამ ნათელია, რომ პრემიერ-მინისტრები უფრო ფართო და ქმედითი უფლებებით სარგებლობენ. ამგვარად, დასკვნა ერთია: პრეზიდენტის აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვის ხარისხი იმავედროულად ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში მისი გავლენიანობის ხარისხსაც განაპირობებს.

გასათვალისწინებელია საპრეზიდენტო ძალაუფლების დინამიური ბუნებაც. პრეზიდენტის სტატუსის ფორმალურ-მატერიალური შინაარსობრივი განსაზღვრება არსებითადაა დამოკიდებული თავად პრეზიდენტების ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზეც მათი სტატუსისადმი. პრეზიდენტების პიროვნული თავისებებისა და სხვა გარემო ფაქტორების (ქარიზმატულობის ხარისხით, პარტიულ ძალთა განლაგებით განსაზღვრული მოცემულობა და მისი მხარდაჭერის ხარისხით საკანონმდებლო ორგანოში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, საგარეო-პოლიტიკური ფაქტორებით, ეთნო-ფსიქოლოგიითა და ა.შ.) გათვალისწინებით, ინსტიტუტის სამომავლო განვითარება სუბიექტურ ზეგავლენებსაც ექვემდებარება. ინსტიტუტის ფორმირებაზე პიროვნული კვალის ანარეკლია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადება მმართველი პოლიტიკური ძალის (რომლის შემადგენლობაშიც ეკავა მინისტრის პორტფელი) დამოკიდებულებისადმი ბმის უარყოფისა და მისი საზოგადო ბუნების თაობაზე – „მე ვარ საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტი, რომელმაც ფიცი დადო არა „ქართული ოცნების“, არამედ სახელმწიფოს წინაშე“¹⁴. ერთ კონსტიტუციურ მოცემულობაში მმართველობის სისტემა განსხვავებულად ფუნქციონირებდა სხვადასხვა პრეზიდენტებისას: მაკედონიაში თუ პრეზიდენტ ბორის ტრაიკოვსკიმ შეძლო საპარლამენტო სისტემის პრაქტიკულად ნახევრად საპრეზიდენტოს რეჟიმში გარდასახვა, მომდევნო პრეზიდენტებისათვის ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და სისტემა დღემდე რეალურადაც ფორმალურად განსაზღვრულ

14 იხ ინტერნეტ-წყაროები: http://maestro.ge/menu_id/65/id/3684/lang/1
<http://www.interpressnews.ge/ge/politika/340913-giorgi-margvelashvili-me-fici-davde-ara-qqarthuli-ocnebisq-aramed-sakhelmtsifos-tsinashe.html?ar=A>

საპარლამენტო რეგისტრაციის მოძრაობის; თურქეთის საპარლამენტო სისტემა, აბდულა გიულის პრეზიდენტობით შუბოჭავმა – ბუნებით გამოკვეთილმა მმართველმა პრემიერ-მინისტრმა რეგისტრაციის ტაიპი ერდოღანმა, პრაქტიკულად ნახევრად საპრეზიდენტოსაკენ გარდასახვა, გაიყოლა რა პერსონალური ავტორიტეტით და მოქმედ პრემიერზე გავლენით განპირობებული მმართველობის ძალა; აშშ-ში კი ერთ-ერთ ყველაზე სუსტ პრეზიდენტად აღიარებული ჯიმი კარტერის მმართველობისას შტატების მთავრობა კონტინენტალურ-კოლექტიურ მთავრობას დაემსგავსა.

ბოლოობა

პრეზიდენტის სტატუსის სტრუქტურის შემოთავაზებული სამწვეროვანი დახასიათება პრეზიდენტის სახელმწიფოებრივ – სამართლებრივი ბუნების კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვის მოკრძალებული მცდელობაა. შესაბამისად, ამით არ შეიძლება მიღწეულად იქნეს მიჩნეული პრეზიდენტის სტატუსის კვლევის მიზანი. რამდენადაც რ.ფ.-ისა და პოლონეთის რესპუბლიკის მაგალითებზე დავინახეთ, პრეზიდენტის სტატუსის სტრუქტურის ნორმატიულად ჰარმონიული ჩამოყალიბება, ნამდვილად არ არის ადვილი. ამავდროულად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონსტიტუციურ კონსტრუქციაში ხელისუფლების განშტოებებთან მისი როლის ერთმნიშვნელოვნად ბალანსირებული ასახვა ამ პრინციპის სრულყოფილი განხორციელების აუცილებელი და ობიექტური წინაპირობაა, რადგან სხვა შემთხვევაში ხელისუფლების განშტოებებს შორის არაბალანსირებული ურთიერთობის წესები დაარღვევდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ბუნებას და დაიმსხვრეოდა მისი კონცეფცია. თავად ხელისუფლების დანაწილების პრინციპი კი ცალსახად სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი წარმატებული ფუნქციონირებისათვის ამოსავალი ქვაკუთხედი და ათვლის წერტილიცაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Златопольский Д.Л.; Институт президента в Восточной Европе: порядок выборов и ответственность. 1994. вестник московского государственная университета. Сер. Право. №5. Москва стр. 14.
2. Казимирчук В.П. 1998. Конституция и закон: стабильность и динамизм. Издательство Юрид. Книга, Москва Стр. 25.
3. Конституционное законодательство России; под общей редакцией Тихомирова Ю. А., 1999. Издательство Формула права, Москва стр.130.
4. დაწვრილებით იხ: Авакян С.А.; Президент российской федерации: эволюция конституционноправового статуса. 1998. вестник московского государственная университета. Сер. Право. №1. Москва стр. 30.
5. Гарлицкий Л.Л.; Институт президентства в новой Конституции Польши. 1997. Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение; №3(20)/ №4 (21). стр.68.
6. ლეშეკ ლეხ გალიცკი. და. ნაშ. გვ. 70.
7. Сахаров Н.А., 1994. Институт президентства в современном мире. Издательство Юридическая литература, Москва Стр. 13.
8. დას. ნაშ. ტიხომიროვა ი. ა. რედაქციით. გვ. 131-132 და 138.
9. Научно-практический комментарий к Конституции Российской Федерации., 1998. Под ред. Топорина Б. Н. Издательство Юрист, Москва Стр. 471.
10. დაწვრილებით იხ: დას. ნაშ. ი. ტიხომიროვა რედაქციით. გვ. 137.
11. იხ ინტერნეტ-წყაროები: http://maestro.ge/menu_id/65/id/3684/lang/1
<http://www.interpressnews.ge/ge/politika/340913-giorgi-margvelashvili-me-fici-davde-ara-qqarthuli-ocnebisq-aramed-sakhelmtsifos-tsinashe.html?ar=A>
http://www.civil.ge/geo/article.php/_print.php?id=29595
12. კვერენჩილაძე გ., 2012. ქართული კონსტიტუციონალიზმის ნოვაციები: პრეზიდენტისა და მთავრობის კონსტიტუციური კონსტრუქცია და მიმართების თავისებურებები 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ჭრილში. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა. #5. გვ. 186.
13. იზორია ლ., 2010. საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ნახევრადსაპრეზიდენტო? გზა დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი გვ. 38.
14. მელქაძე ო., 2001. ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები. თბილისი. გამომცემლობა „პოლიგრაფ-სერვისი“, თბილისი გვ. 16.

CONCEPT OF PRESIDENT'S CONSTITUTIONAL- LEGAL STATUS IN POST- SOCIALIST COUNTRIES

Zurab Jibgashvili

*PhD Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Deputy Director, Legal Department,
Office of the National Security Council of Georgia*

RESUME

The paper tries to explain the role of president in the system of constitutional institutions. The following three aspects are crucial for understanding the role of president's institution: 1. Structure of constitutional-legal status of president; 2. the role of president in execution of principle of allocation of state power; 3. Objective category of governance system in determination of president's role in system of allocation of state power.

For the proper understanding of president's status its supportive normative structure is deconstructed into the three main elements: Institutional Element – generally sets president as the head of state normatively and determines its competences; Procedural Element – highlights the rules of execution of the mandate of a president (commencement of competences, execution, termination and legal succession); Functional Element – particular authorities of a president.

Analysis of the role of president in execution of principle of allocation of state power draws on the constitutional forms of setting president as the head of a state. These constitutional forms of presidential power are represented through diametrically different models and are set in comparative perspective.

Constitutionally determined role of a president should be in com-

pliance with presidential competences, as set by the constitution; the role of a president should be consistently developed through constitutional provisions and supported by its particu-

lar competences. Paper scrutinizes institutional choice of a state and points to those objective and subjective factors, which have significant influence on determination of president's role.

NOTES:

1. Zlatopolski D., 1994. Presidential Institute in Eastern Europe: Procedures for the Election and Responsibility. Herald of Moscow State University. Right N5. P. 14. (RUS)
2. Kazimirchuk V., 1998. Constitution and Law: Stability and Dynamism. Publisher Legal Books, Moscow P. 25. (RUS)
3. Russian Constitutional Legislation., 1999. Edited By Tikhomirov U., Publisher Rights' Formula, Moscow P. 130. (RUS)
4. For Further details see: Avakian S., 1998. President of Russian Federation: The Evolution of Constitutional Status. Herald of Moscow State University, N1, P. 30. (RUS)
5. Garlitski L., 1997. Presidential Institute of Poland's New Constitution. Constitutional Law: East European Review, N3 (20) /N4 (21). P. 68. (RUS)
6. Garlitski L., Ibed. P. 70. (RUS)
7. Sakharov N., 1994. Presidential Institute in Modern World . Publisher Legal Literature, Moscow P. 13. (RUS)
8. Ibed Edited By Tikhomirov U., PP. 131-132, 138. (RUS)
9. Scientific-Practical Commentary to the Constitution of the Russian Federation. Edited by Toporina B., Publisher Lawyer, Moscow P 47. (RUS)
10. For Further details see: edited By Tikhomirov U., P. 137. (RUS)
11. On-line Sources: http://maestro.ge/menu_id/65/id/3684/lang/1 ;
<http://www.interpressnews.ge/ge/politika/340913-giorgi-margvelashvili-me-ficidavde-ara-qqarthuli-ocnebisq-aramed-sakhelmtsifos-tsinashe.html?ar=A> ;
http://www.civil.ge/geo/article.php/_print.php?id=29595 . (GEO)
12. Kverenchkhiladze G., 2012. Georgian constitutionalism innovations: The President and the Government of the Constitutional Structure and the Characteristics of the 2010 Constitutional Reform Towards Setting. Constitutional Law Review. N 5. P. 186. (GEO)
13. Izoria L., 2010. The Presidential, Parliamentary or Semi? The Path of Democratic Consolidation. Publisher Meridiani, Tbilisi P. 38. (GEO)
14. Melkadze O., 2001. Georgian National Contemporary Problems. Publisher Polygraph –Service, Tbilisi P 16. (GEO)